ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №56

CPV: 50610000 - უსაფრთხოების მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

თბილისი **06 მარტი, 2017 წელი**

ერთის მხრივ - **სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზურაბ გეწაძის** სახით და მეორეს მხრივ - **შპს „უსაფრთხოება გარანტი+“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნიკოლოზ ქარჩავას** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია - ცეცხლმაქრების აღდგენის მომსახურების (ფხვნილოვანი ცეცხლმაქრების გადამუხტვა, სარქველების შეცვლა) სახელმწიფო შესყიდვა, საკუთარი შემოსავლების სახსრებით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია:

დასახელება	**განზ.**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**საერთო ღირებულება**
ფხვნილოვანი ცეცხლმაქრების გადამუხტვა და სარქველების შეცვლა	**ცალი**	11.00	37.00	407.00

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **407,00 (ოთხას შვიდი) ლარი,** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილია - თბილისი, აღმაშენებლის გამზ.№164, ხოლო მიწოდების თარიღი - ხელშეკრულების გაფორმებიდან **2017 წლის 25 მარტის** ჩათვლით.

4.3. მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია თეატრის სადადგმო ნაწილის უფროსი ვლადიმერ სტურუა.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს

ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.05%-ს.

8.6. იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2017 წლის 30 აპრილის** ჩათვლით/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.